№ 150, შაბათი, 22 მარტი. 1896—1897 შაბათი, 22 მარტი, № 150.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელზედ“

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიუვა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.
თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

გუთხე ბარონისა დ ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. კ. ი. მუხრან ბატონიშვილისა
№ 6/1

5 მარტიდგან 1897 წ. დაიწყო თავისი მოქმედება

„შუამავალი“

ძვებ-მიცემის მაღაზია,

იმეე
სუფლა
გან, აკ

მაღაზიაში დაცულია სისუფთავე და ზრდილობიანობა მუშტართან.

*** ...ც მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ პირიანად: სანოვაგე ყოველგვარი, სახსნილო და სამარხო: კონსერვები, სანთელი, ხილეული, შაქარი, ჩაი, ყავა, შოკოლადი და კაკაო; ღვინოები სხვა და სხვა ფირმებისა; არყები და სასმელები სარაჯიშვილისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა; სიგარა, პაპიროზი, თამბაქო, გილზები სხვა და სხვა ქარხნებისა; საყოველდღეო საჭირო საგნები, როგორც, მაგალითად,—საპონი, სანთელი, წკირა, (სპიჩკა), ქაღალდები, მელნები, სახამებელი, ვაქსი, პარაფინი, ჟელატინი, სათამაშო ქაღალდი, და სხვა და სხვა...

(3—3)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს 26 მარტს,
ქართულის დრამატიული დასის არტისტების მიერ, სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქნება

I

...შის დაბნელება საქართველოში
კომ. 3 მოქმ. თხზ. ანტონოვისა.

II

დაკვრიალდა ზარა

კომ. 1 მოქმ. კ. ყიფიანისა.
დასასრულ ლეკური
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, ნიკოლაშვილისა, რჩეულოვისა, კუნდელი. ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, საფაროვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ისყიდება შეშა

საჟენი 23 მანათად.
ზითხოვის შეშის საწყობში, ანდრეევის ქუჩაზე, დამოჟნის ახლო.
(2—1)

გურიის სავაჭრო ამხანაგობა

„შუამავალი“

ჰყიდის აბრეშუმის ჭიის საუკეთესო თესლს. თითოეული კოლოფი (7 მისხალიანი) ღირს 2 მანათად.

საწყობი. ოზურგეთსა და სენაკში—კონ. თავართქილაძის წიგნის მაღაზია;

ლანჩხუთსა და საჯილაოში—ამხანაგობის კანტორაში.

„შუამავალის“ თესლის კოლოფებს „შუამავალის“ ბეჭედი აზის.

(5—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (ასიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კობანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.
(წ.)

გამოვიდა და ისყიდება
ზოლ კრჟიჟს 3 მოქმედებიანი დრამა

ბრჭყალებში

თარგმანი ივ. მაჭავარიანის მიერ
ფასი ექვსი შაური.
(10—5)

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

სამხედრო უწყება. უმაღლესად ებოძათ. პოდპრაპორშიკს თ. მაჩაბელს 155 კუბის პოლკის პოდპორუჩიკობა.

ფინანსთა სამინისტროს უწყება. უმაღლესად ებოძათ: ტფილისის სახაზინო პალატის ბუღალტრის თანაშემწეს კოლეჟსკი რეგისტრატორს ელიაშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა და იმავე პალატის მონდობილობათა მოხელეს ჟორჟოლიანს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ტფილისის სახაზინო პალატის უწყება. მღვდლის შვილი გიორგი ბესარიონის ძე ნადირაძე ჩარიცხულ იქმნა ფოთის სახაზინო კანცელარიის მოხელედ და აზნ. ნიკოლოზ გიორგის ძე ცილქანიძე—ტფილისის სახაზინო პალატაში კანცელარიის მოხელედ.

ადმინისტრაცია: გამორიცხულ იქმნა სამსახურიდამ, მისის თხოვნის თანახმად, წინანდალის ბოქაულის თან. აღმ. თავადი გიორგი ყარალაშვილი.

გადაყვანილ იქმნა: გორის მაზრის მეჯვრის-ხევის ბოქაულის ნადვორნი სოვეტნიკი ჩიქოვანი—თელავის მაზრაში წინანდალის პოლიციის ბოქაულად.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასასწავლებლო საბჭოის მიერ.

უწმიდეს სინოდთან არსებულმა სასასწავლებლო საბჭომ ჟურნალურის განწყვეტილებით 10—20 თებერვალ. მე 84 ნომრით, რაიც დამტკიცებულ იქმნა ბ. უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, დაადგინა: გადაეცეს ერთდროებითად ქართლ-კახეთის საეპარქიო სასასწავლებლო საბჭოის განკარგულებას, თანახმად მე 8 სტ. 3. შენიშვ. უწმ. სინოდის 1897 წლ. სავარაუდო ხარჯის თანხიდამ ორასი მანათი თბილისის გუბ. სიღნ. მაზრ, ხირსის სტეფანეს მონასტერთან არსებულის საეკკლესიო-სამრევლო შკოლის ამ წელში შესანახად.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასასწავლებლო საბჭოის 19 თებერვლ. მე 8 ნომრით ჟურნალურის დადგენილების თანახმად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის მიერ 3 მარტს დანიშნულ არს დუშეთის და თბილისის მაზრათა საეკკლესიო შკოლების სამაზრო მეთვალყურედ ბლაღოჩინი მღვდელი მარკოზ ტუემალაძე.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მორიგი კრება. გუშინ, 21 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა თავისს სხდომაზე დაადგინა, ამ ბანკის მორიგი საზოგადო კრება მოიწვიოს 20 მაისისათვის.

⁂ სასოფლო პურის მაღაზიები საზოგადო თანხის შესადგენად. ჩვენი პატივცემული გუბერნატორის თავ. გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის წყალობით, პურის მაღაზიები სოფლად ამ უკანასკნელ ხუთ-ექვს წლებში ყოველთესს პირობებში მოექცნენ. წინად, დაწყებული 1876 წლიდგან, თუმცა მთელს ქართლში იკრიბებოდა სასოფლო მაღაზიისთვის პური, მაგრამ, რადგან ჯეროვანი ყურადღება არ იყო მთავრობისაგან მიქცეული ამ საქმეზედ, შეგროვილი პური იკარგებოდა და სოფელს მითი არა ემატებოდა-რა. სულ სხვა ხასიათი მიიღო ამ ბოლოს დროს ამ საქმემ. სამაზრო სამმართველოებიდგან ზედამხედველები ჰყავთ პურის ამბარდნებს და აქ სასოფლო პურის ერთის ჩანახის დამალვაც აღარ არის შესაძლებელი. ყოველ წლის თავზედ, ანუ ორი წლის შემდეგ პური ზედამხედველის თანადასწრებით იყიდება და ის ფული ხაზინაში შედის და ემატება სასოფლო თანხას. ისეთი სოფელი არ მოიპოვება ტფილისის გუბერნიაში, რომ თავისი საკუთარი თანხა არა ჰქონდეს, დაწყებული 500=10,000 მანათამდე, და ბევრს ხომ ოთხჯერ და ხუთჯერ ამაზედ მეტი აქვს. იმდენი შეიძლეს ამ თანხით, რომ სოფელმა ხაშმმა (ტფ. მაზრ.) ოთხი ხუთი დესეტინა საზოგადო სასოფლო სავენახე მიწა იყიდა და აგერ სამი-ოთხი წელიწადია მის გაშენებას შეუდგა; თითქმის ამდენივე იყიდა სახნავი მიწა, რომელზედაც საერთო რამე შრომას შეუდგება სოფელი. ეს საქმე ძლიერ დიდს კეთილს მოასწავებს ჩვენი სოფლებისათვის, მხოლოდ გვსურს მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას, სახელდობრ, მაღაზიის პურის გასყიდვას. წელანაცა ვსთქვით, ისე სოფელი არ არის ქართლში, რომ 800—1500 კოდი ხორბალი არ მოგროვდეს, რომელსაც ყოველ ორ-სამ წლის შემდეგ ესაჭიროება გასყიდვა იყიდება ხოლმე კოდი მაღაზიის პური 1 მ. 50—2 მანათამდე, მაშინ, როცა ბაზარში პურის ფასია 2 მ. 50—3 მანათამდე. ჩვენ იმის წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ისევ თავად სოფლელებმა შეისყიდონ ხოლმე ასე იაფად, როგორც ბევრჯელა ხდება, როცა სოფელს პური აკლდება, ახლად პურის მოსავლამდე, მაგრამ, როდესაც ასე იაფად ვაჭრები და ჩარჩები ეზიდებიან,—ესკი სოფლისთვის დიდი დაკლებაა. ვაჭრები ქალაქის ადგილსავე გამართავენ ხოლმე შეთქმულობას და მივლენ სოფლად და ნახევარ ფასად ეზიდებიან პურსა. ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ისეთ ნაირად დაყენებულიყო ეს საქმე, რომ საინტენდანტოებს, რომელთაც ბევრი პური სჭირდებათ, პირდაპირი ვაჭრობა გაემართათ პურის მაღაზიებთან. მაშინ საინტენდანტოებიც ეხლანდელზე ნაკლებათ შეიძენდნენ პურს და სოფელიც მეტს მოგებასა ჰნახა... ვინამ ახლოა კარგი იქმნება სო... საბედნიეროდ ყურადღება მიე... ამ მოვლენას.

...ან შესაძლოა დიდ ქალაქებში... ტრალი საწყობი გაიმართოს, ჩამოიზიდოს მაღაზიის პურებ...

გაისყიდოს ხოლმე, ან არა და კიდევ უკეთესი იქმნება, რომ ჩვენმა ნორჩმა ამხანაგობამ, „შუამავალმა“, იკისროს ამ საქმეში უნარის გამოჩენა და სყიდვა-გასყიდვა, რითაც სოფლებსაც სარგებლობას მოუტანს და თვითონაც იხეირებს. ეს მით უფრო სასურველი და ხელ-მოსაჭიდია, რა, რადგან, როგორც ყველამ ვუწყით, დღეს ჩვენზე ალესილია ერთი ჯურა ხალხი, რომლის ხაფანგიდამ მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა და გვიხსნის...

*** თითქმის ყოველდღე, დილა ადრიანად ბ-ნი კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი ხან ფეხით და ხან პატარა ეტლით, რომელსაც თვითონ მართავს,—დაივლის ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილს, აკვირდება ყველაფერს, შეჩერდება სადაც ქუჩაზედ მუშაობა არის, ათვალიერებს მუშებს და ნამუშავარსაც. რვა საათზედ დილით ბრუნდება სასახლეში და მიიღებს ხოლმე სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსებს.

*** **ახალი სასწავლებლები.** სახალხო განათლების სამინისტროში მალე წარსდგება განსახილველად პროექტი ახალის ტიპის სასწავლებლისა. ეს სასწავლებლები უნდა იქმნენ რვა კლასიანი, რომელთა შორის ერთი იქმნება მოსამზადებელი, ხუთი საზოგადო განათლებისთვის დ ორი უკანასკნელი კლასი-კი იქმნება სპეციალური სამეურნეო.

*** **არქეოლოგიური ნაშთი.** სიღნაღის ბოქაულმა ბ. ივანე ნასიძემ მოიტანა ჩვენს რედაქციაში, «წერა-კითხვის საზოგადოების» მუზეის გადასაცემად, ოთხი ძველის-ძველი ნივთი, რომლები კ. ქიზიყში უპოვია, ს. მაღაროში, სახლის საძირკვლის თხრის დროს. ერთია ხანჯალი, ერთი ისარს წააგავს, ერთი ბუშტია და ერთიც პატარა ვარსკვლავი.

ის ალაგი, სადაც ეს ნივთები აღმოჩნდა, წარმოადგენს უფრო საფლავს, რიყის ქვით გაწყობილს. ბ. ნასიძეს იმედი აქვს, რომ იქ სხვა ნივთებიც აღმოჩნდება.

*** **ჯარის კაცთა ტანთ-საცმელის გამოცვლა.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ გამოეცვალოს ტანთ-საცმელი და სხვა მორთულობა შეეცვალოს შემდეგ ჯარებს: კავკასიის სტრელკოვი ადგილობრივ დრუჟინებს, დაღესტანის ცხენოსან პოლკს, კავკასიის ყაზახთა ჯარებს და ოსეთის ცხენოსან დივიზიონს.

*** **კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის თათბირი.** ამ დღეებში აფილოქსერო კომიტეტს მსჯელოა ჰქონია იმის იმის შესახებ, თუ ა წეს-რიგით უნდა გაუწიონ კავკასიაში ბრძოლა ფილოქსერას. კომიტეტი იმ აზრისაა, რომ ის ზომე-, რომელთაც ჩვენს მხარეში ფილოქსერის წინააღმდეგ ამ ჟამამდე წევიან, სრულებით უსარგებლო ჩის და ამიტომ საჭიროა უფრო იდრი ზომები მივიღოთ, ე. ი. ი ვაზები ერთიანად ამოვსჭრათ ავლი ღონისძიება უნდა ვიხ-, რომ, მაშ მაგიერ, ამერიკის ვავავრცელოთ იქ მაინც. საამად ფილოქსერა მძინვა-

*** **ქალაქის დეფიციტი.** ხუთშაბათს, 20 ამა მარტს, თანხმად საბჭოს დადგენილებისა, კრება იყო საფინანსო კომისიისა და ქალაქის გამგეობისა მასზედ, რომ გამოეკვლიათ და ეთათბირნათ შესახებ იმ წყაროებისა, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება ამა წლის დეფიციტის აცდენა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში. როგორც კრებაზე აღმოჩნდა, დეფიციტი შეადგენს 111495 მანათს. მაგრამ რადგან ამავე კრებამ გარდასწყვიტა, რომ უეჭველად წელსვე დაიწყოს საბჭომ სახლების ხელ-მეორედ დაფასება და რადგან ამას მოუნდება ამ წლის ხარჯი 16518 მანათი, ამიტომ დეფიციტი ავიდა 128013 მანათამდე. ამ დეფიციტის მოსაშორებლად კრებამ გარდასწყვიტა ურჩიოს საბჭოს მომატება დაფასების ხარჯისა 72912 მანათისა, დარჩენილი ფული წარსულის წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. 12414 მანათიც ამას მოუმატოს, გადასდოს სამერმისოდ 28065 მანათი ყორღანოვის მილის წყალის გამოსასყიდი ფული, გადასდოს აგრეთვე ობლიგაციის თანხის ვალი 3862 მანათი, რომელიც დაიხარჯა სოლოლაკის არხზედ ამ რამდენისამე წლის წინად, და გარდა მაგისა არ დახარჯოს 11160 მანათი, რომელიც გადადებული ჰქონდა ახალის მილის წყალის გამოკვლევისათვის. ამ სახით, საბჭო მოახსენებს შემოსავალი გაუსწოროს ხარჯსა და უდეფიციტოდ შეასრულოს წლევანდელი ხარჯთ-აღრიცხვა.

*** **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** წევრთ ოთხშაბათს, 19 მარტს, კერძო თათბირი ჰქონდათ, რომელზედაც უნდა აღენიშნათ „საზოგადოების რჩევის“ წევრთა კანდიდატები, რადგან ზოგიერთ რჩევის წევრთ სამსახურის ვადა უთავდებათ.

*** **ავლაბრის სკოლის ახალი ზედამხედველი.** 19 მარტს, ქალაქის სასკოლო კომიტეტს თათბირი ჰქონია, რომელზედაც დაუდგენია, ავლაბრის სკოლის მმართველად დაინიშნოს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მეთვალყურე ბ. აღნიაშვილი.

*** **ქალაქში ტეხნიკური სასწავლებლის დაარსების შესახებ.** მთავარ-მართებლის კანცელარიის მოწერილობის თანახმად, ბ. ტფილისის გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის გამგეობისაგან ცნობები იმის შესახებ, ჰქონია თუ არა მსჯელობა საბჭოს ტეხნიკური სასწავლებლის თაობაზე და თუ ბჭობა ჰქონია, მაშინ გამგეობას სთხოვენ, დაუყონებლივ წარადგინოს საბჭოს დადგენილების პირი გუბერნატორთანო.

ვერის სასაფლაოზე სასეირნო ალაგის გამართვა. ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ. როტინიანცს შეუტანია საბჭოში წინადადება, რომ ვერის სასაფლაოზედ სასეირნო ალაგი გაიმართოს. ბ. როტინიანცის მოსაზრება ფრიად საყურადღებოა, პატივ-საცემი და სასიხარულო, განსაკუთრებით, ვერელებისათვის, რომელნიც სრულებით მოკლებულნი არიან რიგიანს სასეირნო ალაგს.

სასურველია, რომ ქალაქის თვითმმართველობა აქეთსაც სასეირნო [illegible] მაგალითად, დავითის მოედანზე, სადაც დიდ-ძალი ხალხი აწყდება ხოლმე სასეირნოდ მამა დავითის მთას და ისეთი ადგილი-კი არა აქვთ, რომ სიცხის დროს ჩრდილში კაცმა სული მოიბრუნოს.

*** **ბზათა მინისტრი თავ. ხილკოვი,** უმაღლესის ბრძანებით ჩარიცხულ იქმნა ქ. ფოთის საპატიო მოქალაქედ, თანახმად ფოთის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობისა.

*** **სიღნაღი. პანაშვიდი თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძისა.** კვირას, 16 მარტს, სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში პანაშვიდი იყო გადახდილი განსვენებულის, ჩვენის მამულიშვილის თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივი ქართველნი.

*** **სასოფლო ხელ-საქმობის დაქვეითება წინამხარში.** გასაოცარი და გასაკვირველია ჩვენის ხალხის დღევანდელი მდგომარეობა. დღეს, როდესაც ქვეყნებში დღითი-დღე მრავლდება სხვა-და-სხვა ცოდნა და ხელსაქმე, ჩვენს წინამხარში, პირიქით, ხალხი დღითი-დღე ივიწყებს იმასაც, რაც-კი უწინ იცოდა და რასაც აკეთებდა; მაგალითად, ჩვენში უწინ გახშირებული იყო ქსოვა ხალიჩებისა, ფარდაგებისა, შალეულობისა, ხამებისა, მერდინისა და სხვ.; აგრეთვე სთესა ვდნენ ბამბას და სხვა მცენარეობას; მოჰყავდათ აბრეშუმი და ბევრსაც ჰრჩებოდნენ თავიანთ ხელოვნებას. დღეს-კი ყველა ესენი დავიწყებულია ჩვენში და თითო სოფელში ორი დ სამი მანდილოსანი თუ-ღა მისდევს ხალებს ქსოვასა და აბრეშუმის მოყვანას, თორემ სხვას აღარავის აგონდება. დღეს ჩვენი მანდილოსანი მარტოდ-მარტო სახლის მოვლა-დალაგებას კისრულობს, თორემ სხვა ყველა შრომა-გარჯილობა სათაკილოდ და საძრახისად მიაჩნია. ამიტომ ისინი მომეტებულ დროს ცუდად და უქმად, ატარებენ. ამ ძველი ხელობების და ხელ საქმიანობის აღდგენა-კი ძლიერ ადვილია, თუ გულ-შემატკივარი გამოჩნდა ვინმე და დარიგება-ჩაგონებასთან მაგალითსაც უჩვენებს და წაახალისებს ხალხს. წახალისებასა და მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხში.

შარშან-წინ ვაქირის მასწავლებელმა მოიწია აბრეშუმი; ჭიის მოვლაში ზოგიერთი მოსწავლენიც დაიხმარა. მოსწავლეთ სახლში მიიტანეს აბრეშუმის მოვლა-მოყვანის ამბავი და ამ ამბავმა გამოიწვია ყმაწვილების მშობლებში კეთილი სურვილი წამბაძაობისა, მაგრამ მასწავლებელმაც მალე თავი დაანება ამ საქმეს და ხალხსაც ისევ გული გაუგრილდა.

*** **მეაბრეშუმეობის გამკვიდრება წინამხარში.** წელს, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ქ. სიღნაღის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ქ-ნ ყაზახოვისას განუზრახავს დიდძალი აბრეშუმის ჭია მოიყვანოს სიღნაღში. ქ-ნ ყაზახოვისას ჭიის მოვლა-მოყვანა კარგად აქვს შესწავლილი თავისი ძმისაგან—აგრონომისაგან (თავ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში)—პრაქტიკულად. ჩვენთვის სასიხარულოა ეს ამბავი მით უმეტეს, რომ ქ. სიღნაღში ხშირად დადიან სოფლელნი მანდილოსანნი თავიანთ საქმისთვის და შესაძლებელია და ადვილადაც ასასრულებელი, ახლო-მახლო და მთლად მაზრის სოფლებიდან მანდილოსანნი მოვიდნენ ხოლმე და ალაგობრივ შეისწავლონ მოვლა და თავიანთის თვალით ინახულონ, თუ როგორ უვლიან და ჰპატრონობენ ნასწავლნი ქალნი, მათზედ უფრო კარგის ოჯახიდგან გამოსულნი. ამასთანავე, ეჭვი არ არის, რომ ქ-ნი ყაზახოვისა ჭიის მოვლაში დაიხმარებს პატარა მოსწავლე ქალებს და შეასწავლის მათ. ამისთანა მუშაობა ხომ ბავშვებისთვის სასიამოვნოც იქნება და სასარგებლოც. იგინი მიეჩვევიან შრომა გამრჯელობას. ამას გარდა, ლაპარაკი აღარ უნდა, რომ პატარაობაში—სკოლაში შეჩვეული ბავშვები, შინ რომ დაბრუნდებიან, დიდის სიამოვნებით განაგრძობენ ამ გვარ მუშაობას.

დასასრულ, სულით და გულით ვუსურვებთ ქ ნ ყაზახოვისას ამ ფრიად სასარგებლო საქმის განხორციელებას ხალხის საკეთილ-დღეოდ.

*** **ოზურგეთი. უსაფუძვლო ხმები აბრეშუმის ჭიის თესლის გამო.** აქეთკენ ხმა დაავდეს, რადგან მავი ჭირის მოლოდინშია მთელი მხარე და რადგან აბრეშუმის ჭია ხელს შეუწყობს ამ სენის ფეხის მოკიდებას, მთავრობა წლეულს ნებას არ აძლევს სოფლელებს აბრეშუმის ჭია დაისვანო. ამ ხმამ დიდი მითქმა-მოთქმა დაჰბადა მთელს გურიაში. საკვირველია, ვინ გაავრცელა ეს ხმა ხალხში! უეჭველია, თუ არ მტერი ჩვენის სოფლელებისა, მათი მოკეთე არავინ იქმნება ამ ჭორის ავტორი. ჩვენ ნამდვილად ვიცით, არაფერი მაგის მსგავსი განკარგულება არავის გამოუცია. ის-კი არა, ადმინისტრაცია ცდილობს ხელი შეუწყოს ხალხს აბრეშუმის ჭიის გავრცელებასა და აბრეშუმის მოწევაში.

ზოგი სოფელი თესლს არა ჰყიდულობს; ზოგი, თუ იყიდა კიდეცა, უკანვე უბრუნებს თესლით მოვაჭრეს, არ მინდა, წლეულ ნებას არ გვაძლევენო.

ამიტომ, საჭიროა, სოფლის შეგნებულმა პირებმა თავთ იდვან და სოფლელები დააჯერონ, რომ ისინი ვიღამაც მოატყუა და მეტი არაფერი.

კ. თ.

*** **სამურზაყანოში სასოფლო ბანკების დაარსების გამო.** ამ ოცის წლის წინად განსვენებულმა თ. ჭავჭავაძემ სამურზაყანოელებს უანდერძა 20,000 მანათი იმ აზრით, რომ სასოფლო ბანკი დაიარსეთ, საიდგანაც, საჭიროების დროს, ხელის მონაცვლება შეგეძლოთო. დიაღაც რომ საჭირო იყო სამურზაყანოსთვის ასეთი დაწესებულება. შეღავათს მისცემდა ამ მივიწყებულის და ეკონომიურად დაქვეითებულის კუთხის მკვიდრთ სასოფლო ბანკი, საიდგანაც მცირედის სარგებელით ფულს ისესხებდნენ და თავს დაახწევდნენ უსულმერთო მოვახშეებს, რომლებიც ჩვენს სოფლებს წურბელასავით მისევიან და მათს გადამკიდე სოფლებს სიცოცხლე გამწარებიათ.

ახლა ვიკითხოთ, საქმე რამ დააბრკოლა, რა იყო მიზეზი, რომ ამ ოცის წლის განმავლობაში ხსენებულის ტიპის ბანკი არ გაიხსნა და მოქმედება არ დაიწყო სამურზაყანოში?

ამაზე წინად „ახალ მიმოხილვასა“ სწერდნენ სამურზაყანოდან, სას ლო ბანკი რომ გაიხსნას სამურზ ნოში, ბანკისათვის საჭირო მოსა ხურენი არ მოიპოვებიან ადგილ რივავო.

ამაზე კავკასიის სამეურნეო საზ გადოების გაზეთი რჩევას ძლე, რომ იმ სასწავლებლებში, საიდგან სოფლის მასწავლებლები გამოდი, ბანკში სამსახურისათვის საჭირო ცოდნაც მისცენო; საჭიროა, ამავე ც დნით აღჭურვონ სამეურნეო სკ ლებში მოსწავლენიო, რომლები მერე სოფლებში ბრუნდებიან სამოღვაწეოთო.

ამავე გაზეთის აზრით, სამურზაყ ნოში, სადაც 9 სოფლის საზოგადოება ითვლება, 9 საკრედიტო დაწესებულება უნდა დაარსდეს. მაგრამ რადგან საგუბერნიო ადმინისტრაცია განზრახვა აქვს თან-და-თან დააარსოს ეს ბანკები, ჯერ საჭიროა პირველი ბანკი დაარსდეს სოფ. ოქუმში, სადაც 3,000 მცხოვრები ითვლება. ოქუმის ბანკს უნდა ჰქონდეს თანხად 10,000—15,000 მანათი და სამაგალითოდ და სანიმუშოდ უნდა იქმნეს სხვა ბანკებისათვის. ამ ბანკის დაარსებაში სხვა დანარჩენი სოფლის საზოგადოებანი მიიღებენ მონაწილეობას. რა-კი აქ გაიჩარხება საქმე, მაშინ სხვა სოფლებშიაც შეიძლება დაარსდეს.

იქმნება, ზოგმა სთქვას, სოფლის ხალხი კარგად ვერ გამოიყენებს სესხად გამოტანილს ფულსაო. მაგრამ ეს ამაო და უსაფუძვლო შიშია, რადგან მოწინავე წოდებაც ჯეროვანად, სოფლის წარმოების გასაუმჯობესებლად, არა ხმარობდა, უმეტეს შემთხვევაში ვადა, დაზან გამოტანილს ფულს. [illegible] მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც ზრუნავდა და ზრუნავს, ახალი საკრედიტო დაწესებულებანი დაარსოს და ახალი სა ალება გამოუძებნოს კრედიტის შესაძენად.

*** **ბათომი. სახალხო ბიბლიოთეკა.** 18 მარტს დაარსდა სახალხო ბიბლიოთეკა ბათომის სასოქალაქო სასწავლებელთან. ეს ბიბლიოთეკა იქმნება ღია საზოგადოებისთვის კვირაში ოთხჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 5 ვიდრე 9 საათამდე.

*** **ქიზიყი. უდღეობა.** დახ [illegible] დრომ და უბედურმა წელიწადებმა [illegible] რა სირცხვილში ჩაგვაგდეს, [illegible] ღვინო ტფილისიდამ მოგვდის [illegible] რებს ტფილისიდამ მოაქვთ [illegible] წყალ-ღვინო და ასაღებენ ქიზი [illegible] გზე დღეობებში. ბევრი ამ ღ [illegible] ოში ისეთი მდარე და, ვგონებთ, ნაყალბებია, რომ მავნებელი უნდა [illegible] ხალხისათვის. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, ამ გარემოებისთვის მიექციათ ყურადღება სოფლის მამასახლისებს.

თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძის მოხსენება თელავში.

აი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მღვდელმა იოანე შიუკაშვილმა თელავის საყდარში:

„გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმაახლე გვამსა ჩემსა. (ფსალმუნი დავითისა 50, 12.)

კაცის ბუნებას შთანერგილი აქვს

ღვთისაგან, სხვათა შორის, ორნი უმთავრესნი სულიერნი ნიჭნი, ანუ სათნოებანი, ურომლისოდაც კაცი თვის ქვეყნიურს ცხოვრების მნიშვნელობის შესრულებას ვერ შესძლებს; ურომლისოდაც კეთილ-ნაყოფიერი მოქმედება კაცისა ცხოვრების ასპარეზზედ, ხალხთ სასარგებლოდ და მოყვასთა საკეთილდღეოდ, ყოვლად შეუძლებელია, ურომლისოდაც კაცი, რაც უნდ მაღალის ნიჭის და გონების მქონე იყოს, რაც უნდ მაღალის განათლებით აღჭურვილი იყოს, რაც უნდ მაღალის შთამომავლობისა იყოს, ფრიად მდიდარი და მაღალ ხარისხზედ მდგომი იყოს, კაცი კაცურს ღირსებას მოკლებულია, გონიერ ცხოველად არ ჩაითვლება. ეს ორი, კაცისთვის უუსაჭიროესნი სულის თვისებანი, არიან: გული წმინდა და სული [illegible]რფელი. გული წმინდა დაბადე [illegible]მთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმაახლე გვამსა ჩემსა.

მოქმედება წმ. გულისა მდგომარეობს დაუღალავ კეთილთა საქმეების გამოხატვითა ხალხთა ცხოვრებაში, შემჩნეულად, რომ იგი კეთილი და სასარგებლოა მოყვასთათვის, შეუმჩნევლად, რომ იგი, კეთილი და წმინდა გული, კეთილს შვრება; გრძნობა წმინდის გულისა და გამოხატვა ამ კეთილის სათნოებისა, ხალხთ ცხოვრებაში, საქმითა არიან განუყრელნი და მაგრად შეკავშირებულნი საყვარელნი ძმანი, ცალ-ცალკე მათი ცხოვრება და მოქმედება ყოვლად შეუძლებელია; შეუძლებელია ამა ორთა ძმათა, ამ ორთა კეთილთა სათნოებათა, [illegible] მხოლოდ თვის სასარგე[illegible] ნამდვილად [illegible] საკეთილდღეოდ, ესეთია დანიშნულება წმინდის და კეთილის გულისა: გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმაახლე გვამსა ჩემსა.

მეორე კეთილი სათნოება კაცის ბუნებისა არის წრფელი სული, ანუ მართალი სული. წრფელი ანუ მართალი სული არის ზნეობრივი ძალა კაცისა; ამ ძალას შეუძლიან თვით უდიდესნი მაღალნი მთანი დასძრან საძირკვლიანად და შთააგდონ ზღვაში. ეს ძალა არის თვით კაცის სიცოცხლე და მოქმედება, ეს ძალა არის კაცის ღრმა რწმუნება, დამყარებული ჭეშმარიტებაზედ, რომელმა ძალამაც სიმართლისამა უნდა აღმოფხვრას ხალხთ ცხოვრებაში სიცრუე, ბლაგმოს აღვირ-აშვებული ძალა ბოროტებისა, ეს უსამართლო მდევნელი კაცის ბედნიერებისა. რამდენიც ძალა მართალის სულისა მოქმედებაშია და მით თანდათანობაშია, ხალხთ ცხოვრების ასპარეზზედ ფართოვდება და მხნეობა ემატება მას, იმდენად ძალა ბოროტებისა, უსამართლოებისა, ძალ-მომრეობისა, პატიოსანთა კაცთა დევნისა და ჩაგვრისა, სუსტდება, უკუ იწევს, შიშობს. აი ამ წრფელის და მართალის სულის ძალას მოვალენი ვართ ხელი შევუწყოთ, ეკლით მოსილი გზა გავუკაფოთ, ასპარეზი მოქმედებისა ხალხთ ცხოვრებაში მოუმზადოთ, ნიადაგი მისი განვაპოხიეროთ, რათა ძალამ სიმართლისამ უხვი და საკეთილდღეო ნაყოფი გამოიღოს.

პატიოსანო კრებავ! მიზეზი აქამომდე ჩემის თქვენდამი საუბრისა და რამდენისამე ჰაზრის წარმოთქმისა თქვენ წინაშე, არის დღეს უსულო ჩვენს წინაშე მდებარე გვამი თ-დის ნიკო ჭავჭავაძისა, რომელიც გარდაიცვალა ამ ექვსის დღის წინ. ვინ გარდაიცვალაო?! კაცი, წრფელის და მართალის სულით თვის ცხოვრებაში სავსე, კაცი წმინდის გულის მქონე. კაცი, პატარაობიდან სიმართლის მიმდევარი და აღჭურვილი ამ უძლეველის სულის სათნოების ძალითა, მდევნელი უსამართლოთა და მზაკვართა, ფლიდთა [illegible]ულითა და მოღალატეთა თვისთა ძმათა და ერთა. კაცი ჰკუიანი, თვისის საკუთარის მხნეობითა და ნიჭით დიდს ხარისხამდე მიღწეული, თვისის საკუთარის ბეჯითობით გონება გახსნილი, კარგად მცოდნე ჩვენის ხალხისა და მახლობლად თვალ ჩახედილი მის ცხოვრებაში. კაცი გამსჭვალული თვისის ერის, მამულის და სარწმუნოების აღორძინებისათვის, წმინდის გულით და წრფელის სულით აღჭურვილი მის საბედნიროთ, ხმარობდა ყოველს კეთილშობილურსა სახსრებსა მის უბედურებისაგან გამოხსნისათვის. იყო თამამი და კადნიერი და არა რაიმე პირადული ანგარიში უკან არ დაახევინებდა მის მახვილსა ენასა, მის პირდაპირობასა, ვინც მის გულის სიწმინდეს შებღალავდა და მის წრფელს და მართალსა სულსა შეურაცხყოფასა მიაყენებდა, რომლის უმთავრეს მიზანს ცხოვრებისას მამულის და ერის სიყვარულს შეადგენდა. დადუმდა ენა, აღარ მოქმედებს მისი მახვილი და გამჭრიახი ჭკუა-გონება, ეს მარჯვე იარაღი, თავზარ დამცემი და მეხმგრგვინავი იმ თავხედთათვის, ვისაც ხელობათ და მარჯვე იარაღათ გარდაუქმნიათ ქართველთა გაუპატიურება, მისის რჯულისა, ენისა და მამულისა; მეხ-დამცემი იმათი ქვემძრომობა, ლაქუცი, პირმოთნეობა და ფარისევლობა გაუხდიათ იარაღათ მოედნიდამ ბურთი გაიტანოს მხოლოდ პირადულის სარგებლობისათვის. ესრეთ, ძმანო, ბევრი რამ ითქმის ამ საყვარელ და საუკეთესო მამულის შვილზედ, უმრავლესნი და უკეთესნი მისნი მოქმედებანი შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ თალხი ფერით დაჩრდილული სევდა, ეს გულის აღმაშფოთებელი, სულს მიგუბებს, ენასა ჩემსა აღარ ძალუძს დღეს თქვენთან საუბარი და თვით ესეთი ჩემი მდგომარეობა დღევანდელი გაგრძნობინებთ თქვენ, რის თქმაც მინდა. დამრჩენია სათქმელად მხოლოდ ისა-და, რომ ქართველთა ერის სიტყვით და საქმით იმ ხუთიოდე პირთა მოსიყვარულეთა შორის, წმინდის გულით და წრფელის სულით აღჭურვილი, დღეს ერთი მოაკლდა. მაგრამ ნუ შეძრწუნდებით, სიწმინდის, სიმართლის წყარო, ყოვლად შემძლებელი ღმერთი არ დაგვტოვებს ობლად, იმედი ვიქონიოთ, რომ მართალსა, პატიოსანსა, ერისთვის საკეთილ დღეოდ მუძაკთა მამულის შვილთა კვლავ მოგვივლენს მომავალში, უკეთუ არ დავივიწყებთ ერთგულთა და პატიოსანთა ჩვენ[illegible]ა მამული-შვილთა, როგორც მაგ. ამ განსვენებულს თავადს ნიკოს.

ვილოცოთ, ძმანო, წინაშე მაცხოვრისა, რათა თავადს ნიკოს წმინდათათანა განუსვენოს.

ტფილისის სასწავლებლების მასწავლებელთა პედაგოგიური კრება.

ორშაბათს, 17-ს მარტს, ტფილისში მცხოვრებელ გერმანელთა სკოლის დარბაზში შესდგა მორიგი კრება ტფილისელ მასწავლებელთა, რომელსაც ოცდა ათამდე მასწავლებელი ქალი კაცი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ვ. ნ. პავლოვი. კრება რვის ნახევარზედ გაიხსნა. საგანი კრებაზედ გასარჩევი ისევე „ბუნებრივის მეტოდით“ უცნობი ენის სწავლების შემოღებაზედ იყო, რომელსაც, „მეტოდს“, არამც თუ უიღბლო ჟამი დაუდგა, არამედ ისეთს განსაცდელში ჩავარდა ამ კრებაზედ, რომ იგი ვერა იხილავს ჩვენებურის სკოლების დარბაზებს, ვგონებ, ვერას დროს. ორშაბათსავე გერმანელმა მასწავლებელმა, გრიმმა მისცა მეორე სანიმუშო გაკვეთილი გერმანულ ენაზედ რუსებსა და ქართველ შეგირდებს იმ რიგად, რომ არც ქართული და არც რუსული სიტყვა არ უხმარია გერმანიული ენის სწავლების დროს. ამ კრებაზედ გაკვეთილის დაფასების დროს გრიმმა გულ-ახდით განუცხადა კრებას, რომ ეგ „მეტოდი“ არა მწამს და მაგისი მოტანილი ნაყოფი ერთობ ჭიანი უნდა იყვესო. აგეთსავე აზრს დაადგა ტფილისის პირველ გიმნაზიის მასწავლებელიო, რომელიც, თურმე, აგერ ორი წელიწადია მაგ მეტოდით ხელმძღვანელობდა, ნემეცურის ენის სწავლების დროს და ამ ბოლოს ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ეგ არამც თუ, „ბუნებრივი მეტოდია“, არამედ უკუღმართი რამ მოგონებააო, რაც ამ უკანასკნელ ჟამს მოუსაზრია „ცრუ პედაგოგთა“ რაზმსაო. კრებაზედ დამსწრენი ძლიერ ალაპარაკდნენ ამ საგანზედ და ყველა უჩვენებდა ხოლმე სასაცილო რამ მხარეს. ერთმა მასწავლებელთაგანმა მოაგონა დამსწრეთ, თუ მასწავლებელმა გრიმმა რამდენი ძვირფასი დრო დაჰკარგა მაშინ, როდესაც გაიძახოდა „alle“ (ყველამ), როდესაც ერთად უნდა ეთქმეინებინა რამე სიტყვა კლასისათვის და თვითონაც დაიქანცა, შეგირდებიც მოქანცა და მიზანს ვერ მიაღწია. ნეტა, რა შეცოდება იქნებოდა, რომ „alle“ ყველა მას ნიშნავსო და ამით გათავდებოდა საქმეო, და შეგირდებიც მიხვდებოდნენ. მეორე მასწავლებელთაგანმა კიდევ ანგარიში წარმოუდგინა დამსწრეთ, თუ რა შეასწავლა ამ გაკვეთილზედ ბავშვებს მასწავლებელმა, რადგანაც ცხადათ გამოჩნდა, რომ, თურმე, მხოლოდ ერთად ერთი სიტყვა „გრიფილი“ შეესწავლებინა, რომელიც, როგორც ქართულად, აგრეთვე რუსულად და გერმანულადაც ერთნაირი ყოფილა.

შემდეგ ამ თათბირისა. ინსპექტორმა ბ-ნმა ვ. ნ. პავლოვმა დამსწრეთ წაუკითხა ჟურნალ „ობროზოვანიის“ მე-3 ნომრიდგან წერილი სახალხო სკოლის მასწავლებლის ოცდა ხუთის წლის იუბილეის შესახებ. მოგვ[illegible] მოკლე შინაარსი ა[illegible] წერილისა. [illegible]ბილიარი, სოფლის ს[illegible]ლის მასწ[illegible]ლებელი, ვიაჩესლა[illegible] აბრამოვი ოცდა ხუთს წელიწად[illegible], თურმე, ისეთნაირი სულით და [illegible]ულით ემსახურებოდა დაბალ ხალხ[illegible] სწავლა-ცოდნის გავრცელებას, რომ ეს ბევრისათვის სამაგალითო რამე დარჩება. აბრამოვმა გაათავა უმაღლესი სასწავლებელი, სამი წელიწადიც სამსახურში დაჰყო, მაგრამ მალე მიანება თავი და მოსკოვის ახლო მდებარე სოფელ ვოლკოვოში, თვეში თუმნად სოფლის მასწავლებლად შევიდა. ეს დღე იყო და ეს. მასაქეთია დღემდე ამ სამაგალითო ადამიანს ერთ წუთას არ შეუფერხია. ისე საკვირვლად წაიყვანა სოფლის სკოლის საქმე, ისე ჩინებულად გააწყო ეს მეტად რთული და ძნელი საქმე, რომ ყოველ მხრიდგან დაიწყო ახალგაზდა მასწავლებელთ, ქალმა თუ კაცმა მოსვლა, რომ ერთხელაც არის მოესმინათ აბრამოვის გაკვეთილი და მისებური ხელოვნება შეეძინათ ახალგაზდა თაობის გამოწრთვნაში. აბრამოვი მარტო ვოლკოვის სოფელს არ ემსახურებოდა; იგი ყოველ თავისუფალ დროს შუადღის შემდეგ, ყოველ უქმე დღეს, ახლა ქარხნის მუშებში სცდილობდა სწავლა-ცოდნის გავრცელებას, ერთი კონკიდგან მეორე კონკაზე გადადიოდა, სულ მუდამ წუთს, თურმე, სულ იმის ფიქრში იყო, აბა ახლა რომელ საკვირაო სკოლაში, რომელ საღამოს კურსებზედ, რომელთა დაარსებაშიაც უპირველესი ადგილი ეჭირა თავად მას, უნდა გაჩენილიყო, რომ თავისი ნიჭი, მხნეობა და სიყვარული გამოეჩინა იმ დაბალ მოძმეთამდი, რომელთათვისაც დღიური ლუკმა პურის შოვნის ზრუნვას წაერთმია დრო, როცა ადამიანისთვის უფრო ასე ადვილი ხდება სწავლა ცოდნის სხივებით განსპეტაკება. შრომამ, ამ ენერგიულის კაცისა, ცუდათ არ ჩაიარა და დღეს, მისი მუდმივის მხნეობით, ვინ იცის, თურმე, რამდენმა მოსკოველმა მუშამ ისწავლა წერა-კითხვა. [illegible]ი ამისათვის, მის იუბილეის კიდეც იმისათვის დაესწრო მრავალი მუშა ხალხი, თავის გულ-წრფელი მადლობა გამოუცხადა და ინტელიგენციამაც საკმაოდ დააფასა ეს ყველასაგან მისაბაძი მასწავლებელი. იმ მასწავლებელს, რომელმაც 25 წელიწადს არც ერთს უქმე დღეს, არც ერთს წუთს საქმის დღეს, ერთს წამსაც არ შეისვენა, და ეჭირა ხელში განათლების ბრწყინვალე დროშა და სოფელ ვოლკოვიდგან ხან ერთს მოსკოვის მიყრუებულ უბანში აფრიალებდა, ხან მეორეში,— იუბილეიზედ მისმა შეგირდმა მუშებმა ლექსები წაუკითხეს, და დღეგრძელობაც უსურვეს კიდევაც; ინტელიგენციამ ქება-დიდება შეასხა, მხოლოდ მან, აბრამოვმა, მოკლედ, ყველას შემდეგი სიტყვა უთხრა, სიტყვა ნამდვილად საქმის მოყვარულის კაცის გულიდგან ამონახეთქი:

— დღევანდელი დღესასწაული ჩემი დღესასწაული-კი არ არის, არამედ დღესასწაულია სახალხო სკოლისაო. ვეცადოთ, ბატონებო, რომ სახალხო სკოლამ გამარჯვება მოიპოვოს, ვეცადოთ, რომ სავალდებულო საერთო სწავლის შემოღება მალე, მალე [illegible] მობითი [illegible] გავრცელდე ჩვენს ძველ სატახტო ქალაქში. მე მყავს მეგობრები, რომელნიც მანუგეშებდნენ და ხელს მიმართავდნენ საქმეში, როდესაც კი მოვიწადინებდი; მაგრამ, აბა მითხარით, რა ქნას, როგორ გაუძლოს და აიტანოს თავისი ბედი შორს სადმე მიყრუებულ მივარდნილ ალაგში, როგორიც არის ირკუტსკის გუბერნია, ან სხვა ამ გვარი, სოფლის განმანათლებელმა, რომელიც ყველა ამას, მეგობრისგან ხელის გამართვას, მათგან გამხნევებას, მოკლებულია და მარტოდ-მარტო ეწევა შეუძლებელ უღელს, უღელს ძნელ ასატანს!.. ვიფიქროთ, აი იმ დაშორებულ სწავლა-ცოდნის მედროშეთ მიშველება, რომ უკეთესი მერმისი დაებადოს ჩვენს საყვარელს სამშობლოსა!..

კრებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა სოფლის სკოლის მასწავლებლის აბრამოვის იუბილეის ამბავი და თერთმეტი საათის ნახევარზედ დაიშალა.

მასწავლებელი.

მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა და მისი საქმენი.

II

> ჯერი მიდგა მელიაზე, ტურაც
> ხედნადებიაო. (აკაკი).

ზედამხედველის და მზრუნველის სანიმუშო სურათი ხომ ბ. მაჭარაძემ დაგვიხატა. ისეთივე ტიპიური სახე წარმოგვიდგინა „ნოვ. ობოზ.“-ეს ქუთათურმა კორრესპონდენტმა დაბა-სოფლების მეთვალყურისა, იმ მეთვალყურისა, რომელიც,—თითონ წოდებაც მოწმობს,—უნდა შეადგენდეს თვალსა და ყურს ჟურნალისა თუ გაზეთისას.

ვაი თქვენს მტერს, თუ ეს მეთვალყურე ბუნებითაც ნაკლებად არის დაჯილდოვებული სწორად ხედვასმენაში და მერე კიდევ განგებ იყრუებს და იბრმავებს თავს! ჩვენდა სავალალოდ, ეს სწორედ ასე [illegible] „ნოვ. ობოზ.“ ქუთათურმა კორრესპონდენტმა მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა წინადაც აითვალისწუნა („ნოვ. ობოზ.“ № 4522), რაც სამართლიანად შენიშნა ბ. ნადიკვრელმა (იხილე „ცნ. ფურც.“ № 137). ამის შემდეგ ეს კორრესპონდენტი ეწვია ჩვენს ამხანაგობას 2 მარტს, საზოგადო წლიური კრების დღეს,— და რომ უთქვამს პოეტს— „გულს გული იცნობს და ღონეს ღონეო“, ამანაც მოსვლისთანავე იცნო ჩვენი „ჩოტჩიკი“ ბ. მაჭარაძე და რა კი იცნო დაასკვნა: «თუ ამასაც ვერა გაუგია-რა ამხანაგობის დავთრებში, ეს უთუოდ დავთრების ბრალი იქნებაო» და გამოაქვეყნა «ნოვ. ობ». მე 4528-№-ში, რომ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას სავაჭრო საჭირო დავთრები არ ჰქონია; ისე, ზეპირად აწარმოებენ საქმეებს ეს ორი წელიწადია, ადგენენ ანგარიშებს და ტყობილობენ მოგება-წაგებასო და სხვა და სხვა. ეს ამცნო კრებას ბ. მაჭარაძემ, სარევიზიო კომისიის წევრმაო, რომელსაც ამხანაგობის დავთრებისა ვერა გაუგია-რაო, სწერს მეთვალყურე და სრულიად კმაყოფილია ამ საბუთებით...

როგორც სხვაურივ, ისე ანგარიშების გაგებაშიაც რომ ბ. მეთვალყურე სწორედ ცალია მაჭარაძისა,— აი ამის საბუთი მისი კორრესპონდენციიდგან. ამხანაგობის ანგარიშის ფურცელი, რომელიც ეჭირა ხელში მას (იგზავნება რედაქციაში), შედგება ოთხი განყოფილებისაგან. პირ-

ველში მოყვანილია, რა ჰქონებიათ და ნაღდი ფულით გადმოვიდა ამხანაგობა 1895 წლიდგან საანგარიშო 1896 წელში; მეორე წარმოადგენს ალებ-მიცემობას (შემოსავალს და გასავალს) ამხანაგობისას 1896 წლის განმავლობაში; მესამე—თუ რა ავლა-დიდებით გადადის ამხანაგობა 1897 წელში და მეოთხეში გამოანგარიშებულია, საიდგან მიიღო ამხანაგობამ საანგარიშო წლის მოგება. ანგარიშის განყოფილებათა ამ უბრალო დასახელებითაც ცხადია, რომ იქ 1895 წლის ალებ-მიცემობის გამომხატველი რიცხვები არ იქნება მოყვანილი და ვინც ანგარიშს ხელში აიღებს და გადაათვალიერებს, ის ხომ ცხადათ დარწმუნდება, რომ ეს ასეა. ქუთაათური მეთვალყურე-კი სწერს: როცა 1895 წელში ამხანაგობის წილის ფული მარტო 5,103 მან. და 27 კაპ. იყო, ამხანაგობის იმ წლის ალებ-მიცემობა 84,923 მ. და 86 კაპ.-მდის ასულაო; ხოლო 1896 წელში, როცა წილის ფული 15,894 მან. 60 კაპ. გახდა, ამ წლის ალებ-მიცემობა 78,896 მან. 60 კაპ.-მდის ჩამოსულაო! საიდგან მოიყვანა აქ ბ. მეთვალყურემ 84,923 მან. და 81 კაპ. 1895 წლის ამხანაგობის ალებ-მიცემობის ჯამად მაშინ, როდესაც ეს რიცხვი შეადგენს ამხანაგობის შემოსავლის ჯამს 1896 წლისათვის,—ეს მარტო მას, მეთვალყურეს, ეცოდინება და კიდევ ჩვენს «ჩოტჩიკს».

«სიდგან სადაო, წმიდა საბაო"—ამაზე იტყვიან—იმ პირთა შესახებ-კი, რომლებიც ასე მსუბუქათ უყურებენ ნაბეჭდ სიტყვას, ასე წინდაუხედავად და აუწონავად ჩირქსა ცხებენ სხვების ნამოქმედარს,—მეტი რა გვეთქმის, რაც პოეტს არ უთქვამს:

„დაგელოცა სამართალი, ღმერთო,
რა ამბავია! ჯერი მიდგა მელიაზე,
ტურაც ზედნადებიაო".

ამხანაგობის წევრი ლ. თათ—შვილი.

სამეურნეო ცნობა.

ფიჭვის ახალი სენი. თითქმის მთელს გერმანიის ტყეებს ერთსა და იმავე დროს მოედო ფიჭვის ახალი ავადმყოფობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხის ნორჩი ტოტები თანდათან წითლდებიან, ხმებიან და მიწაზე ცვივიან. ამ ავადმყოფობას „სოკო"-ს უწოდებენ (Cenangium abietis). თუმცა, მართალია, ხე ამითი არ ფუჭდება, მაგრამ მას ყოველ შემთხვევაში დიდძალი ტოტები აკლდება და მით ტყე ზიანდება. ეგ სენი ბუდობს ხის ქერქში და ხანდახან ნორჩი ხის გულშიაც.

აუცილებელი საჭიროებაა, რომ, თუ ღმერთი გასწყრა და ჩვენს ტყეებსაც ესეთი დღე დაადგათ,—ყველა დაზიანებული ხის ტოტი მოვსჭრათ და ცეცხლში დავწვათ, რომ სენი არ გავრცელდეს. ეს საშუალება მით უფრო სავალდებულოა, რომ ამ ავადმყოფობის წინააღმდეგი წამლობა ჯერ არ გამოუგონიათ.

საღამოს დეპეშა

21 მარტი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: მე-13 არმიის კორპუსის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი რაზგულდეევი დანიშნულ იქმნა ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწედ.

პარიზი. ჰანოტო და დემენი ამორჩეულ იქმნენ საფრანგეთის აკადემიის წევრებად.

ტულონი. ადმირალ პოტიეს მოთხოვნილებისამებრ, ზღვათა მინისტრმა უბრძანა დაუყოვნებლივ გაჰგზავნეთ კრიტში კიდევ 600 კაცი ქვეითა ჯარისა, პოდპოლკოვნიკის უფროსობითაო. ჯარი მომავალს კვირას გაიგზავნება.

კონსტანტინეპოლი. სანსუნში მყოფი რუსეთის ელჩი ციმმერმანი ტოკატში იქმნა გაგზავნილი, რომ იქ დაესწროს, არეულობის საქმის გამოძიებას. ინგლისიცა ჰგზავნის იქ თავისს წარმომადგენელს.

სკუტარში (ალბანიაში) საქმეთა მდგომარეობა მშვიდობიანი არ არის. ალბანელი კათოლიკე ოჯახობანი იხიზნებიან. უწესოება ჯერ არ შეწყვეტილა. ალბანელი კითოლიკენი სკუტარის ახლო-მახლო შეიარაღებაში არიან. ქალაქი ოსმალეთის ჯარსა აქვს დაჭერილი. სერბიის ელჩმა პორტას მეოთხე ნოტა გადასცა, რომელშიაც უკმაყოფილება და წინააღმდეგობაა გამოცხადებული საზღვართა საქმის შესახებ.

ლონდონი. დიდთა სახელმწიფოთა მთავრობებმა დაადგინეს დაუყოვნებლივ დავიწყოთ მეცადინეობა რომ შევაყენოთ სატევი მოქმედება საბერძნეთისაო. ყველა დიდნი სახელმწიფონი დასთანხმდნენ, რომ საბერძნეთის სანაპიროებს შემოერტყას ალყაო, და ეს ღონისძიება ჩქარა იქმნება განხორციელებული. ამბობენ აგრეთვე, ყველა დიდმა სახელმწიფომ არ გამოაცხადა თანხმობა და არ შეიწყნარა ის წინადადება, რომ კრიტში ევროპიელი გენერალ-გუბერნატორი დაინიშნოს და ოსმალეთის ჯარი გამოყვანილ იქმნას ამ კუნძულიდგანაო. ზოგიერთნი დიდნი სახელმწიფონი იმ აზრისანი არიან, რომ საბერძნეთის ჯარის განშორება იმ კუნძულიდგან აუცილებლად საჭიროა, თუ გვინდა, რომ კრიტში შემოღებულს, ახალს ადმინისტრაციას სიმტკიცე და სიმკვიდრე ჰქონდეს, სულ ერთია, რა წესითაც უნდა იყოს დადგენილი ეს ადმინისტრაციაო. კანეაში უფრო იმ აზრისანი არიან, რომ უკანასკნელ მომხდარი ამბები უფრო ნათლად ჰმოწმობენ, რა დიდად აფერხებს და ხელს უშლის დიდთა სახელმწიფოთ ოსმალეთის ჯარი კუნძულის დამშვიდების საქმეშიო. ევროპის მეციხოვანე ჯარები შემოიკრებენ თუ არა საკმაო ძალსა და ღონეს მათ მიერ დაჭერილს ნავთ-სადგურში, მაშინვე სათანკადოდ და სასარგებლოდ იქნება მიჩნეული, რომ ოსმალეთის უმთავრესი ძალა გაყვანილ იქმნას ამ კუნძულიდგანაო.

„Times"-ს დეპეშით აუწყებენ ათინიდგან, რომ ბერძენთა ფლოტის დასავლეთის ესკადრა ლევკასთან არის მოკრებილი. ნაღმის-მატარებელი ფლ- [illegible] ოორგის [illegible] კანეაცს [illegible] მთავრობამ მიჰმართა დიდთა სახელმწიფოთ და სთხოვა, რომ ყოველმა სახელმწიფომ თითოეულ ქვეითა ბატალიონთან თითო არტილერიის ბატარეაც გამოჰგზავნოსო.

სივაში მყოფი ინგლისის ელჩი ჰმოწმობს, რომ ტოკატში 89 სომეხია მოკლული, ხოლო 36 დაჭრილიო. ტოკატს ახლო-მახლო სამი სოფელია გაძარცულიო.

ცნობა სასამართლოდგან.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

5 აპრილს:

განჯის გუბერნიაში მცხოვრებ დუხობორებისა, რომელთაც ჰბრალდებათ მთავრობის განკარგულების წინააღმდეგობა. ამ საქმეში 28 დამნაშავეა. განჯის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე წარსულ წელს, დუხაბორები დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა თითო წლით პატიმართა როტაში გაგზავნა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ბრალმდებელი. დუხაბორებსაც თავისის მხრივ სააპელაციო საჩივარი შეუტანიათ პალატაში და თხოულობენ სრულიად გამართლებას.

22, აპრილს.

კაცია ბოლქვაძისა, ნოე დათუნაიშვილისა, გაბრიელ ებრაილიძისა, სტეფანე ჩხეიძისა, ბართლომე ვასაძისა, ნესტორ, ვლადიმერ და მათია, იგივე მარია, შოფაქიძეთა, რომელთაც გაძარცვა ჰბრალდებათ.

29 აპრილს

თ. გიორგი ამილახვარისა, დავით ერისთავისა და სხვებთა, რომელთაც ის ჰბრალდებათ, რომ აკოფოვის ქალის მოტაცება უნდოდათო. საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ ამას წინად განიხილა და დამნაშავეთ მცირე სასჯელი მიუსაჯა, მაგრამ ბრალმდებელი არ დაეთანხმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას და საქმე სასამართლო პალატაში გადაიტანა.

* * *

ოჯახში გამოსადეგი ცნობა

ვაშლების შენახვა. სულ უბრალო საშუალებით შეგვიძლიან კარგათ შევინახოთ ვაშლები მეორე გაზაფხულამდე. კარგად შემოსული, დაუზიანებელი ვაშლი უნდა გამოვაშოროთ და მერე ფრთხილად ჩავაწყოთ ყუთში ისე კი, რომ ვაშლსა და ვაშლს-შუა დარჩენილი ადგილი ნახერხით ამოავსოთ. ზევიდანაც თავზედ $2\frac{1}{2}$ გოჯზედ ნახერხით უნდა ავავსოთ და მაგრათ დავხუროთ თავი. ამ გვარად დახურული ყუთი მშრალს მიწაში ამოთხრილს ორმოში უნდა ჩავდგათ და ზევიდამ $2\frac{1}{2}$ გოჯზედ მიწა წავაყაროთ. ნახერხის მაგივრად შეგვიძლიან წვრილი ქვიშაც იხმაროთ, მხოლოდ ყუთს მაშინ აღარ უნდა მიწაში ჩადგმა და მშრალს ადგილას კი უნდა შეინახოთ. ამ გვარად შენახული ვაშლები სრულიად არა ჰკარგვენ არც ფერს და არც გემოს.

ქართული სახალხო
სამკითხველოები

პირველი სახალხო სამკითხველო:

მოიპოვება ყველა ადგილობრივი ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე რუსეთისა. ფასი ქართულ წიგნების შინ წასაღებად თვეში 20 კაპ., საკითხავად სამკითხველოში 1 კაპ. სამკითხველო ყოველ დღე ღიაა 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე და კვირაობით მხოლოდ 2 საათამდე.

ადრესი: სათავად-აზნაურო ქარვასლა, № 119.

მეორე სამკითხველო:

სახალხო სამკითხველოში მოიპოვება საკუთრივ ქართული წიგნები, ქართულ-რუსული ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები. კითხვა სამკითხველოში შეიძლება უფასოთ. წიგნების წაღება სახლში 20 კაპ.; სამკითხველო ღიაა დილით 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კვირაობით 2 საათამდე.

ადრესი: მეორე მაღაზნის ქუჩა, № 18, აკზალის სასადილოს გვერდით.

(10—4)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი"

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს უოველ წლიურად პოლისის პატრონს სარგებელს $5^0/_0$ დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შვილმა მიიღოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—74 მანათი და 50 კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნ- [illegible] ლვეული თანხა 5,000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან, ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество

„ЯКОРЬ"

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.
Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

Телефонъ управленія № 51. (100—10)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შესწავლა

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა 40 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ,
4) Коммерческой экономіи,
5) Тортовыхъ и вексельныхъ узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Марта 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.